საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 3433/01
07/04/2021

3433-01-2-202104071102

ინდ. მეწარმე რუსიკო მიქავას
მის: ქ.თბილისი, რუსთავის გზატკეცილი N53

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2021 წლის 22 მარტის N4951 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში ფონიჭალის მიმდებარე ტერიტორიაზე ენერგიის მიღების მიზნით (სათბურის გასათბობად) ღუმელში მეორადი ზეთების გამოყენებას (ნარჩენების აღდგენა). გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და წარმოდგენილი უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- ინფორმაცია საქმიანობის განხორციელების ადგილის (საკადასტრო კოდი, GPS კოორდინატები) შესახებ, მანძილი საპროექტო ტერიტორიიდან უახლოეს დასახლებული პუნქტამდე (საცხოვრებელი სახლი) ზედაპირული წყლის ობიექტამდე, სამრეწველო ობიექტებამდე;
- გამოყენებული დანადგარის ტექნიკური მახასიათებლები (სიმძლავრე, ხმაურის დონე), ინფორმაცია დანადგარის სამუშაო გრაფიკის შესახებ (საათობრივად მოხმარებული ზეთების რაოდენობის მითითებით);
- ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროების შესახებ ინფორმაცია, ასევე ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების შემადგენლობა და რაოდენობრივი მაჩვენებლები;
- ინფორმაცია ნარჩენების წარმოქმნის წყაროს, სახეობების, რაოდენობების, სახიფათობის მახასიათებლების შესახებ, ასევე წარმოქმნილი სახიფათო ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული საკითხები;
- ინფორმაცია შეგროვებული ზეთების შენახვისა და დასაწყობების პირობების შესახებ, ასევე მათი ტრანსპორტირების საკითხები;
- ინფორმაცია საქმიანობასთან დაკავშირებული ავარიული რისკების შესახებ;
- ინფორმაცია სამეურნეო-საყოფაცხოვრებო წყალმომარაგების შესახებ;
- ინფორმაცია ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე ზემოქმედების (მოწყობისა და ექსპლუატაციისას) და მისი შემდგომი მართვის შესახებ;
- დაზუსტებას საჭიროებს დანადგარის განთავსების ადგილის/შენობა-ნაგებობის მოწყობის შესახებ ინფორმაცია;

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გაცნობებთ, რომ სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით აღნიშნულ საქმიანობაზე იმსჯელებს ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით განახლებული სკრინინგის განცხადების სამინისტროში წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე